პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

22 ნოემბერი ოთხშაბათი, 1961 წ.

№ 189 (1825)

გამოცემის 10-18 წელი.

ფასი 3 კაპ.

ქართული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის პირველობაზე ტანვარჯიშში წარმატებით გამოდიოდნენ ქართველი ოსტატები, რომლებმაც მოსკოველ მაყურებელთა სიმპათიები დაიმსახურეს.

სურათზე: (მარჯვნიდან) — დ. ჯანუყაშვილი, ე. ქაჯაია და მ. ნინოშვილი შესვენების დროს.

ფოტო ვ. ტუტოვისა.

მდგომარეობა XV ტურის შემდეგ (22 ნოემბრისათვის)

მონაწილენი	№	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
ს. ჰუნდსუორნი (მოხლოლეთი)	1	X	0	0	0	1/2	1/2	1/2	0	0	0	0	0	0	0	0		
ა. რინდერი (გფრ)	2	1	X	0	0	1/2	1	1/2	1	0	0	0	0	0	1			0
ვ. ნედელკოვიჩი (იუგოსლავია)	3	1	1	X	1/2	1/2	1	1/2	1	1/2	0	1/2	1/2	1/2			0	1
ე. პოლიქრონიადე (რუმინეთი)	4	1	1	1/2	X	1/2	1	1	0	0	1/2	1/2	0			1/2	0	0
გ. გრეზერი (აშშ)	5	1/2	1/2	1/2	1/2	X	0	1	1	0	0	*			1	1/2	0	0
შ. შოდე დე სილანი (საფრ.)	6	1/2	0	0	0	1	X	1/2	1/2	1	*			1/2	0	1/2	1/2	0
ბ. კონარკოვსკა (პოლონეთი)	7	1/2	1/2	1/2	0	0	1/2	X	1/2	*			0	1/2	1/2	1/2	1	1/2
ფ. ჰეემსკერკი (ჰოლანდია)	8	1	0	0	1	0	1/2	1/2	X			1	0	0	0	0	0	1/2
ლ. ვოლპერტი (სსრ კავშირი)	9	1	1	1/2	1	1	0	*		X	1	0	0	1/2	1	0	1/2	1
ტ. ზატულოვსკაია „	10	1	1	1	1/2	1	*			0	X	1	0	0	1	1	0	0
ა. ზვორიკინა „	11	1	1	1/2	1/2	*			0	1	0	X	1/2	1	1	0	1	0
ნ. გაფრინდაშვილი „	12	1	1	1/2	1			1	1	1	1	1/2	X	1	1/2	1	1	1/2
ვ. ბორისენკო „	13	1	1	1/2			1/2	1/2	1	1/2	1	0	0	X	1	1	1	1
ლ. ლეინი (აშშ)	14	1	0			0	1	1/2	1	0	0	0	1/2	0	X	1	0	*
ა. ნიკოლაუ (რუმინეთი)	15	1			1/2	1/2	1/2	1/2	1	1	0	1	0	0	0	X	1	1
მ. ლაზარევიჩი (იუგოსლავია)	16			1	1	1	1/2	0	1	1/2	1	0	0	0	1	0	X	1
ე. კარაკაშენი (უნგრეთი)	17		1	0	1	1	1	1/2	1/2	0	1	1	1/2	0	*	0	0	X

ახლოს სანუკვარ მიზანთან

ვრნიაჩკა-ბანია. (ტელეფონით). 21 ნოემბერი. ტურნირის გარშემოიხმაურმა შესამჩნევად იკლო. თითქმის ყველა შეურიგდა ამ აზრს, რომ მსოფლიო ჩემპიონ ე. ბიკოვას მეტოქე გარკვეულია — იგი ქართველი ოსტატი ნონა გაფრინდაშვილია.

— რა უნდა მოხდეს, რომ ვ. ბორისენკო მაინც დაეწიოს მას? — ერთმანეთს ეკითხებოდნენ დღეს დილით ოსტატები.—ალბათ, რაღაც სასწაული. მაგრამ სასწაულს ჭადრაკში არა აქვს ადგილი. ამიტომ თვით ბორისენკოც შეურიგდება ბედს.

XV ტურმა, რომელიც დღეს საღამოს გაიმართა, ხავსებით გაამართლა პროგნოზების მოყვარულთა შორსმჭვრეტელობა. ბორისენკომ და ნედელკოვიჩმა, რომლებიც ერთმანეთს ეცილებიან II-III ადგილებში, აუღელვებლად „გამოაცხვეს“ ყაიმი 28 სვლაში. მაგრამ გაფრინდაშვილის შეხვედრა პოლიქრონიადესთან არ ჰკარგავდა თავის მნიშვნელობას. მისი მოგება თუ არა, ყაიმი მაინც აუცილებელი იყო. ეს ნონამაც იცოდა, მაგრამ რა გააჩერებს მის დაუდგრომელ ბუნებას?

მიუხედავად იმისა, რომ თამაში დაიწყო 4 მხედრის დარბაისლური დებიუტით, ნონამ მალე შეწირა პაიკი, ხელთ იგდო ინიციატივა და ქარბუქი დაატრიალა დაფაზე. ამას მოელოდა პოლიქრონიადეც. ადრე მას ნონასთან ოთხჯერ უთამაშია და სამჯერ სწორედ ასეთი გრიგალისაგან დაზარალდა. მაგრამ ამჯერად რუმინელი ოსტატი თავგამოდებით იცავდა თავს. გაზრდილმა წინააღმდეგობამ ოდნავ დაანია გაფრინდაშვილი. მან ვერ მონახა პოზიციური უპირატესობის განვითარების გზა და თანდათანობით პოლიქრონიადემ გაითავისუფლა თავი „მარწუხებისაგან“. ამ დროს ბრძოლაში ჩაერია ყოვლისშემძლე ციაბნოტი. აქ კი ნონას გამოადგა ელვისებური პარტიების თამაშის მდიდარი გამოცდილება. ხუმრობა საქმე ხომ არაა: მას ელვისებური პარტიები უთამაშია ტალთან, ბრონშტეინთან და გუმარჯვია კიდეც. რასაკვირველია, პოლიქრონიადეს გაუჭირდა თამაში. მან ჯერ პაიკი დაკარგა, ხოლო შემდეგ გამორჩა გაფრინდაშვილის მოხდენილი კომბინაცია — ეტლის შეწირვა ორ პაიკში, რაც წამოწყებული იერიშის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა. პოლიქრონიადე ძნელი არჩევანის წინაშე აღმოჩნდა. — დაეშვა პაიკის გასვლა ლაზიერში თუ ეხეტიალა მეფით ალმოდებულ პოზიციაში? მაგრამ მან უკეთესი გამოსავალი ნახა—38-ე სვლაზე მიუღოცა ნონას დამსახურებული გამარჯვება.

— ასეც ვიცოდით, — უთხრეს აღელვებულ შიშოვს იუგოსლაველმა კოლეგებმა. — სხვაგვარი შედეგი წარმოუდგენელიც იყო.

ამ გამარჯვების შემდეგ ნ. გაფრინდაშვილი კვლავ 2 ქულით უსწრებს ვ. ბორისენკოს. მას დარჩენილ ორ ტურში ნახევარი ქულის მოგროვებაც ყოფნის, რომ ოფიციალურად გაიფორმოს უფლება ე. ბიკოვასთან მატჩზე. ეს კი ალარ არის ძნელი საქმე.

ნიკოლაუმ ადვილად დაამარცხა ჰუნდსუორენი, ლაზარევიჩმა მოუგო კარაკაშენს, ხოლო რინდერმა—ლეინს. სამი პარტია გადაიდო. ზვორიკინას ზედმეტი პაიკი აქვს გრეზერთან, ზატულოვსკაიას — შოდე დე სილანთან, ხოლო ვოლპერტს პაიკი აკლია კონარკოვსკასთან.

XV ტურის შემდეგ ნ. გაფრინდაშვილს 12 ქულა აქვს, ვ. ბორისენკოს — 10 ქულა, ლ. ვოლპერტს — 8,5 ქულა და ერთი გადადებული, ვ. ნედელკოვიჩს — 8,5 ქულა.

22 ნოემბერს გაიმართება XVI ტური.

გადამწყვეტი შეხვედრების წინ

26 ნოემბერს სარატოვში დაიწყება წყალბურთში სსრ კავშირის 1961 წლის პირველობის დასკვნითი შეხვედრები. თუ კი მოსკოვში გამართულ მატჩებში ლევოვში გამარჯვებული 4 კოლექტივი შეხვდა თბილისის ზონაში 1-4 ადგილზე გამოსულ გუნდებს, სარატოვში ჩემპიონატს ყოველი მონაწილე გუნდი თითო მატჩში შეხვდება ერთმანეთს.

ქვემოთ მოგვყავს დასკვნითი შეხვედრების წინ გუნდების სტატისტიკური მდგომარეობა:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ქ.
ვმფ	7	6	1	0	13
„დინამო“ მ.	7	6	1	0	13
„დინამო“ თბ.	7	5	0	2	10
„ბურ“. მ.	7	3	1	3	7
„დინამო“ ლვ.	7	2	1	4	5
„ტრუდი“ რსფსრ	7	1	2	4	4
„ბალტიკა“ ლ.	7	0	3	4	3
კკფ	7	0	1	6	1

ევროპის ჩემპიონატი მოსკოვში ჩაეგარდება

ტუნისში გაიმართა მოყვარულ მოკრივეთა საერთაშორისო ფედერაციის (აიბა) კომიტეტის სხდომა, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა საკითხი 1963 წლის ევროპის ჩემპიონატის ჩატარების შესახებ. პირველობის მოწყობის მსურველი იყო სამი ქვეყანა: სსრ კავშირი, რუმინეთი და იტალია. დანარჩენმა მსურველებმა კენჭისყრის წინ მოიხსნეს თავიანთი კანდიდატურები.

აიბა-ს აღმასრულებელმა კომიტეტმა ეს უფლება საბჭოთა კავშირს მიანიჭა. ამგვარად, ევროპის 1963 წლის პირველობა კრივში მოყვარულთა შორის ჩატარდება მოსკოვში.

რ. ხოლმოვი — IV ტურის გმირი

ბაკო. (ტელეფონით). 21 ნოემბერი. როგორც ყოველთვის, ტალისა და ავერბახის შეხვედრა გამორჩეული მწვავე ბრძოლით. ამიტომ IV ტურში მათი პარტია ბუნებრივია, მაყურებელთა ყურადღების ცენტრში იყო. კარო-კანის დაცვაში, რომელიც ავერბახმა ირჩია, ტალმა კვლავ გამოიყენა თავისი საყვარელი გაგრძელება. თამაში თავიდანვე დაიძუხტა. ტალის ინიციატივა ყოველი სვლით სულ უფრო მრისხანე სახეს ღებულობდა. მაგრამ ავერბახმა დროზე მიიღო ზომები. მრავალი ფიგურის გაცვლით მან გაუხტა მდგომარეობა და პარტია თანაბარ ვნდშპილში გადაიყვანა. 28-ე სვლაზე მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ.

საყაიმო შედეგი ფიქსირებულ იქნა კიდევ სამ პარტიაში. ბრონშტეინი შეუთანხმდა ლეინს, ტალმინოვი — გიპსლისს და ვლადიმიროვი — კოცს.

ბრწყინვალე საჭადრაკო პარტია შექმნა ხოლმოვმა ნეიმეტდინოვთან შეხვედრაში. მონაწილეთა სერიოზ შეხედულებით ეს პარტია ჯერჯერობით ყველაზე უკეთესია ტურნირზე რა მოხდა ამ პარტიაში? ესპანურ. პარტიაში სოჭელმა გროსმაისტერმა მივიწყებული ვარიანტის გამოყენებით თავიდანვე საგონებელში ჩააგდო ყაზანელი ოსტატი. სანამ ნეიმეტდინოვი გაერკვეოდა პოზიციის ავ-კარგიანობაში, ხოლმოვმა მეფის ფრთახე პაიკებით წამოიწყო შტურმი. იგი არ დაერიდა მატერიალურ მსხვერპლსაც ნეიმეტდინოვის მეფის მისადგომების ასაღებად. მალე ხოლმოვმა ისე შეაოჭა მეტოქის ფიგურები, რომ ნეიმეტდინოვი იძულებული შეიქნა უკან დაებრუნებია ნადავლი და თან ფიგურაც მიეყოლებია. 36-ე სვლაზე ნეიმეტდინოვმა ფარ-ხმალი დაჰყარა.

დანარჩენი პარტიები გადაიდო. გურგენიძემ ესპანურ პარტიაში სმისლოვთან მიმართა თავის საყვარელ გაგრძელებას, მაგრამ ჯერ მიიღო უპირატესობა. ექს-ჩემპიონმა ადვილად გაათანაბრა თამაში და უკეთესად განალაგა თავისი ფიგურები. გურგენიძე მტკიცედ იბრძოდა. შეწყვეტილი პოზიცია თუმცა სმისლოვისათვის უკეთესად გამოიყურება, მაგრამ გურგენიძეს ყომის რეალური შანსები აქვს. კერესს ორი პაიკი აკლია სპასკისთან.

IV ტურის შემდეგ კვლავ წინ არიან ვ. სმისლოვი და ბ. სპასკი, რომლებსაც 3-3 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ.



ამ სურათზე აღბეჭდილია კომკავშირულ-გამაჯანსაღებელი ბანაკის 164-ადგილიანი საძინებელი კორპუსი, რომელიც ბაკურიანში შენდება და გეგმის თანახმად უკვე მიმდინარე ზამთრის სპორტულ სეზონში უნდა ჩადგეს სამსახურში. მის ექსპლოატაციაში გადაცემის შემდეგ ბაკურიანში ერთგვარად გადაიჭრება სპორტსმენთა მიღების საკითხი. მალე მის გვერდით დამთავრდება მეორე კორპუსისა და სხვა დამხმარე ნაგებობათა მშენებლობანი.

ჩ ა ვ ე ბ ა თ

4 დისკუსიაზე

ამას წინათ გაიმართა საქალაქო კროსი, რომლის სტარტზე გამოვიდა 6000-ზე მეტი სპორტსმენი. პირად პირველობაში გოგონათა შორის 300 მეტრზე პირველი იყო ლ. ზგურსკაია (27-ე სკოლა), 500 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა მე-9 სკოლელმა ა. ჩერნოვამ, ჭაბუკებში 800-მეტრიანი დისტანცია მოიგო ე. შენგელიამ (მე-5 სკოლა).

ქალები გამარჯვებისათვის იბრძოდნენ 500 მეტრზე, ხოლო ვაჟები 1000 მეტრზე რბენაში. პირველში უძლიერესი იყო ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის წევრი ნ. ნოზაძე, მეორეში — გ. ლეკიშვილი (პოლიტექნიკური ინსტიტუტი).

უმაღლეს სასწავლებლებს შორის გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა ფიზკულტურის ინსტიტუტმა, ტექნიკუმებს შორის — მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმმა. საშუალო სკოლების შეჯიბრება მოიგო 80-ე სკოლის გუნდმა, ხოლო წარმოებადაწესებულებებში უძლიერესი იყო შუშის ქარხნის კოლექტივი. რაიონებს შორის პირველობა მიეკუთვნა ორჯონიკიძის სახელობის რაიონს.

ი. ხაბეიშვილი

ლ ე ლ ო

30-2 83. № 189 (1825)

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა აშას წინათ დაამტკიცა რაიონულ, საქალაქო, ნსს რესპუბლიკურ საბჭოებსა და უწყებებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების დებულება, რომელიც სახელმძღვანელოა შეჯიბრებაში ჩაბმული ყველა საბჭოსა და უწყებისათვის.

დებულებაში ნათქვამია:

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის რაიონულ, საქალაქო, ნსს რესპუბლიკურ საბჭოებსა და უწყებებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება მიზნად ისახავს ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებას ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის, განსაკუთრებით მოზარდთა და ახალგაზრდობას შორის და ამის საფუძველზე რესპუბლიკის მოსახლეობის ფართო მასების ჩაბმას ფიზკულტურულ და სპორტულ მოძრაობაში, არსებული ფიზკულტურული კოლექტივების შემდგომ ორგანიზაციულ განმტკიცებასა და ყველა ახალ ორგანიზაციასთან კოლექტივების შექმნას. ადგილებზე ფიზკულტურულ-მასობრივი, სასწავლო სპორტული და აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების გზით რესპუბლიკის სპორტსმენთა ოსტატობის შემდგომ ზრდას, მშთ ნიშნოსნების, სპორტის ოსტატების, სპორტსმენ - თანრიგოსანთა და საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების შვიდწლიანი გეგმებისა და თვითვალდებულებების ვადამდე და ხარისხოვნად შესრულებისათვის საჭირო პირობების შექმნას, სპორტსაზოგადოებების, უწყებათა და რესპუბლიკის ნაკრები გუნდების დაკომპლექტებას მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპორტსმენებით, პირველ რიგში სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის სახეობებში, ფიზკულტურის ორგანიზაციის ორგანიზაციულ და მატერიალურ-ფინანსური ბაზის გამტკიცებას და ა. შ.

სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობენ საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის რაიონული და საქალაქო, აგრეთვე ნსს რესპუბლიკური საბჭოები და უწყებები. ამასთან, სოხუმის, ბათუმის და სტალინირის საქალაქო საბჭოები უშუალოდ მონაწილეობენ მასში.

შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლება სპორტკავშირის ის რაიონული, საქალაქო ან ნსს რესპუბლიკური საბჭო, უწყება, რომელიც შეჯიბრების დებულებით გათვალისწინებული ცალკეული მაჩვენებლების მიხედვით შეაგროვებს ქულათა ყველაზე ნაკლებ რაოდენობას შემდეგ მოთხოვნებში: ფიზკულტურელთა რიგებში გააერთიანებს არა ნაკლებ რაიონის თუ ქალაქის მთელი მოსახლეობის 17 პროცენტს, წარმოებების, კოლმეურნეობების, დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა მთელი ოდენობის 20 პროცენტს, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა 75 პროცენტს, სკოლების 5-11 კლასების მოსწავლეთა 90 პროცენტს, ტექნიკუმების მოსწავლეთა რიცხვის 90 პროცენტს, უზრუნველყოფს სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადებას არანაკლებ რაიონის, ქალაქის ფიზკულტურელთა საერთო რიცხვის 12 პროცენტისა, წარმოება-დაწესებულებების ფიზკულტურელთა საერთო რიცხვის 10 პროცენტისა, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სტს-ბის ფიზკულტურელთა 7 პროცენტისა, უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმების, „შრომითი რეზერვების" სასწავლებლების მოსწავლეთა 20 პროცენტისა, სკოლების 7-11 კლასების მოსწავლეთა 15 პროცენტისა; მიაღწევს მშთ ნიშნოსანთა, სპორტსმენ-თანრიგოსანთა და საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების გეგმის შესრულებაში უკეთეს შედეგს, შეძლებს იყოლიოს ყოველ 25 ფიზკულტურელზე ერთი საზოგადოებრივი ინსტრუქტორ-მწვრთნელი და მსაჯი სპორტის სახეობების მიხედვით, ახალი ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაციის შესაბამისად ჩაატარებს მრავალი სახის რაც შეიძლება მეტ შეჯიბრებებს და ამის საფუძველზე მიაღწევს ისეთ მდგომარეობას, რომ თითოეულმა ფიზკულტურელმა წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღოს არანაკლებ ექვს სპორტულ ღონისძიებაში, ჩაებამს ტურიზმში რაიონის თუ ქალაქის მოსახლეობის არანაკლებ 5 პროცენტისა, საწარმოო ტანვარჯიშითა და ფიზკულტურული პაუზებით მეცადინეობაში გააერთიანებს არანაკლებ რაიონის თუ ქალაქის მუშა-მოსამსახურეთა 15 პროცენტს, უზრუნველყოფს გეგმის მიხედვით სპორტის ოსტატებისა და პირველი თანრიგის სპორტსმენთა მომზადებას.

საუკეთესო ციფრობრივი მაჩვენებლისათვის ყველა ცალკეულ მოთხოვნაში რაიონს, ქალაქს, სპორტსაზოგადოებას და უწყებას ეწერება ერთი ქულა, მეორე უკეთესი მაჩვენებლისათვის ორი, მესამე მაჩვენებლისათვის სამი და ა. შ. ზემოაღნიშნული პროცენტული მაჩვენებლების შეუსრულებლობისათვის მონაწილეს დაეწერება 10 საჯარიმო ქულა. ამასთან, ბეგმის ზევით მომზადებულ ყოველ ერთ სპორტის ოსტატზე ძლეოსნობაში, ცურვაში, ველოსპორტში, წყალში ხტომასა და თანამედროვე ხუთჭიდში ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებას და უწყებას ჩამოეწერება 2 ქულა, რაიონებს და ქალაქებს კი გეგმის ზევით მომზადებულ ყოველ ერთ სპორტის ოსტატზე ჩამოეწერებათ 2 ქულა, ხოლო ყოველ ერთ პირველ თანრიგოსანზე — 1 ქულა.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად თუ სოცშეჯიბრებაში მონაწილე მიაღწევს საუკეთესო შედეგებს საქსპორტკავშირის მიერ ჩატარებულ რესპუბლიკურ გუნდურ პირველობებსა და შეჯიბრებებზე, პირველი ადგილისათვის რაიონს, ქალაქს, სპორტსაზოგადოებას და უწყებას ეწერება ერთი ქულა, მეორე ადგილისათვის — ორი, მესამე ადგილისათვის — სამი და ა. შ. მსოფლიო, ევროპისა და ოლიმპიური თამაშების რეკორდებისათვის მონაწილეს ჩამოეწერება 2 ქულა (მხოლოდ რეკორდის დამყარების წელს), საკავშირო და რესპუბლიკური რეკორდებისათვის — 1 ქულა, მსოფლიო, ევროპისა და ოლიმპიური თამაშობების ჩემპიონის მომზადებაზე — 2 ქულა (ჩამოეწერებათ მხოლოდ ჩემპიონობის მოპოვების წელს), საკავშირო და რესპუბლიკური ნაკრები გუნდის ძირითად წევრზე — 1 ქულა (რაიონებს ჩამოეწერებათ 2 ქულა).

თუ მონაწილე გამოავლენს და აღზრდის მაღალი ტანისა და კარგი მონაცემების მქონე 16-18 წლის გოგონასა და ჭაბუკს (გოგონები 185 სმ და ზევით, ჭაბუკები 2 მეტრი და ზევით), მას ყოველ ერთ ასეთ სპორტსმენზე ჩამოეწერება 2 ქულა.

ფიზკულტურის კოლექტივებს შორის გაშლილ საკავშირო შეჯიბრებაში საუკეთესო კოლექტივის წოდების მოპოვებისათვის, აგრეთვე „სპორტული კლუბის" დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებისათვის რაიონს, ქალაქს, საზოგადოებას და უწყებას, რომელსაც ასეთი კოლექტივი ჰყავს, ჩამოეწერება 1 ქულა.

მონაწილემ უნდა უზრუნველყოს სკოლებს შორის საშეფო მუშაობის გაშლა, უნდა იყოლიოს არანაკლებ ათი საშეფო სკოლისა, სადაც უზრუნველყოფს სპორტული შეჯიბრებების მოწყობას ექვსჯერ მაინც წელიწადში და სპორტის სულ მცირე სამ სახეობაში მაინც.

საუკეთესო ციფრობრივი მაჩვენებლისათვის სპორტსაზოგადოებისა და უწყებას ჩამოეწერება 3 ქულა, მეორე უკეთესი მაჩვენებლისათვის — 2 ქულა, მესამესათვის — 1 ქულა, ხოლო მომდევნო მაჩვენებლებისათვის ეწერებათ ერთიერთი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში

თვითდამშვიდებაც არ შეიძლება

ამას წინათ გაიმართა ფარიკაობის რესპუბლიკური ფედერაციის პლენუმი, სადაც საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მეიფარიანი.

მომხსენებელმა ილაპარაკა ქართველ მოფარიკავეთა მიღწევებზე. საკავშირო პირველობაზე ჩვენმა გუნდმა მე-3 ადგილი დაიკავა, თასის შარშანდელ გათამაშებაში სპორტის ოსტატებმა გ. კოსტავამ, ნ. ასათიანმა და ი. ოსიპოვმა მიიღეს უმაღლესი ჯილდოები. მაღალი კლასი ნათლად გამოჩნდა მთელ რიგ საერთაშორისო შეჯიბრებებშიც.

მაგრამ მოპოვებულ წარმატებათა მიუხედავად არის ნაკლოვანებებიც. მოფარიკავეთა მომზადება ძირითადად თბილისსა და ქუთაისში წარმოებს, დანარჩენ ქალაქებსა და რაიონებში კი მომეცადინეთა ჯგუფები საგრძნობლად შემცირდა. საქართველოს ნაკრებ გუნდში თბილისელებს გარდა მხოლოდ ქუთაისელი ა. ბობოხიძეა შეყვანილი.

ფარიკაობის განვითარების ერთ-ერთი შემაფერხებელი მიზეზია ადგილებზე ელექტროაპარატურისა და იარაღების სიმცირე, ურომლისოდაც შეუძლებელია სასწავლო მეცადინეობათა ჩატარება მაღალ დონეზე. რესპუბლიკაში არ არის არც ერთი დარბაზი აღჭურვილი თანამედროვე ინვენტარით. უმაღლეს სასწავლებლებში არის საათები ფარიკაობის გაკვეთილებისათვის, მაგრამ იქ მიტანილ ელექტროაპარატურისა და იარაღის დადგმას დიდი დრო მიაქვს.

მოხსენებაში დიდი ყურადღება დაეთმო პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის საკითხებს. საანგარიშო პერიოდში ჩვენმა სპორტსმენებმა „თავი გამოიჩინეს" უდისციპლინობითაც (თ. ზაუტაშვილი, ი. მაშინაია, ა. გოგელია, ზ. ცქიტიშვილი და სხვანი.)

საგრძნობი ჩამორჩენაა ქალთა და რაპირისტ ვაჟთა მომზადებაში. ქალთა ნაკრები გუნდის წევრები ჯ. გიორგაძე, ლ. ფანჩვიძე, ი. ესაიაშვილი და ლ. შეყრილაძე წლების მანძილზე იცავენ რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას, მაგრამ მაინ შემცვლელები ჯერ არ ჩანან.

რამდენიმე ნაკლოვანებაა ერთი-ერთი მაღალი კლასის მოფარიკავეთა სპორტული ოსტატობა, ინერცია და გუნდური მეკობრეობა. ეს სიმძიმე ძირითადად მის კისერზე გადადის.

ჩვენი მოფარიკავეთა ძირითადი მასა მოკლებულია სხვადასხვა ძლიერ გუნდებთან შეხვედრებში მონაწილეობას, რაც დროულად უნდა გაითვალისწინოს რესპუბლიკურმა ფედერაციამ და იზრუნოს ამხანაგურ თუ სამატჩო შეხვედრათა რაოდენობის გაზრდაზე.

მოხსენების ირგვლივ კამათში გამოსულმა სსრკ დამსახურებულმა მწვრთნელმა ტ. მესხმა ილაპარაკა ნაკრები გუნდის მუშაობასა და მომავალ პერსპექტივებზე. სსრკ დამსახურებულმა მწვრთნელმა ა. ფედოროვმა ბავშვთა შორის მუშაობის ნაკლად აღნიშნა სარაიონთაშორისო და საქალაქთაშორისო შეჯიბრებების სიმცირე. მნიშვნელოვანი ხარვეზია ისიც, რომ ურთიერთობა არაა დამყარებული ნაკრებ გუნდსა და ბავშვთა გუნდებს შორის, რაც საგრძნობლად აამაღლებდა მოზარდთა ოსტატობის დონეს.

ქუთაისის წარმომადგენელმა გ. ჩიქოვანმა დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა იმ საკითხზე, რომ არაორგანიზებულად ჩატარებული შეჯიბრებები კარგავენ თავის ძირითად დანიშნულებას — შეასრულონ ფარიკაობის თვალსაჩინო პროპაგანდისტის როლი.

დასასრულ, პლენუმმა აირჩია პრეზიდიუმის, მწვრთნელთა საბჭოს და მსაჯთა კოლეგიის ახალი შემადგენლობა.

პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ა. მეიფარიანი. მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარედ—საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ტ. მესხი და მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარედ — საკავშირო კატეგორიის მსაჯი შ. დარასელია.

ღია სტარტი კვლავ ჩატარდება

ამ გოგონებს ახლა კარგად იცნობენ ჩვენს რესპუბლიკაში. მათ არაერთი შესწორება შეუტანიათ რესპუბლიკური რეკორდების ცხრილში, არაერთხელ მოუპოვებიათ გამარჯვება, წარმატებით დაუცავთ საქართველოს სპორტული ღირსება. ახლაც რაციონალურად იყენებენ ყოველგვარ ღონისძიებას, მონაწილეობენ ყველა შეჯიბრებაში რა მასშტაბისაც არ უნდა იყოს იგი, სრულყოფენ ტექნიკას.

ზურათებზე: ზევით — რესპუბლიკის უძლიერესი მოცურავენი ი. ამნიაშვილი (მარცხნივ) და ე. შავდია. ქვევით — ლ. კონონენკო და ზ. ბაბენკო (მარჯვნივ) კმაყოფილნი არიან შეჯიბრების შედეგებით.

ფოტო ბ. კამენსკისა.

დადგა ზამთარი, სპორტული სეზონი, მაგრამ სიცივე ხელს ვერ უშლის თბილისელ მოცურავეებს კვლავ სცადონ თავიანთი ძალები ცისფერ ბილიკებზე. საბაფხულო აუზში წყლის გათბობამ მათ საშუალება მისცა კვლავინდებურად განაგრძონ სპორტული სეზონი — რეგულარულად გამართონ შეჯიბრებანი. ამგვარი შეჯიბრება—„ღია სტარტი“ ჩატარდა გასულ კვირას.

„ღია სტარტში“ მონაწილეობის უფლება აქვს ყველა მსურველს — უთანრიგოებსაც და შედარებით გამოცდილ სპორტსმენებსაც. მისი მიზანია გამოავლინოს მზარდი მოცურავენი, საშუალება მისცენ მათ შეასრულონ სათანრიგო ნორმატივები. შეჯიბრების ორგანიზატორები ფიქრობენ, რომ ამ წამოწყებას კარგად გამოიყენებდნენ ქალაქის მოცურავენი, მწვრთნელები, სპორტული საზოგადოებები, უწყებანი, მაგრამ, როგორც პირველმა დღემ ცხადჰყო, მოლოდინი მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა. ისეთი წამყვანი მწვრთნელებიც კი, როგორებიცაა გ. დათაძე, შ. მუსასტიკოვი, ი. ილინი, ო. ორდანიშვილი, გულგრილად მოეკიდნენ წამოწყებას, არ გამოიყვანეს თავიანთი აღსაზრდელები შეჯიბრებაზე. უფრო მეტიც, მსაჯობასაც აარიდეს თავი.

შეჯიბრებას სტარტზე გამოვიდა 85 სპორტსმენი. მისი შემადგენლობის გაცნობისას აღმოჩნდა, რომ 65 დინამოელი იყო, ხოლო დანარჩენი თბილისის განათლების განყოფილების სექციის აღსაზრდელები. ცხადია „განთიადს“, „ბურევესტნიკს“, „სპარტაკს“, „შრომითი რეზერვებსაც“ რომ გამოეყვანათ თავიანთი სპორტსმენები, შეჯიბრება უფრო მასობრივიც იქნებოდა და უფრო ნაყოფიერიც.

დამჯილდოებულ მცურავთ შორის [illegible] არ ველოდით. [illegible] სპორტსმენ[illegible] [illegible] ტემპში — „სალტოს“, რაც დღევანდელ პირობებში განსაკუთრებით აუცილებელია. მისი არასწორად შესრულებისათვის სპორტსმენი შეჯიბრებიდან იხსნება. მაგალითისათვის გამოდგება ე. შავდია, რომელიც სწორედ ამ ელემენტის არაზუსტად შესრულებისათვის შეჯიბრებიდან მოიხსნა საკავშირო პირველობაზე. ამის შესახებ იცოდა ყველა მწვრთნელმა, მაგრამ როგორც შეჯიბრებამ ცხადჰყო, მათ თავიანთ აღსაზრდელებთან მის დაშუშავებაზე ნაკლებად შეუწუხებიათ თავი. საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების ზოგიერთი წევრიც კი არაზუსტად ასრულებდა ამ ელემენტს.

კიდევ ერთი კრიტიკული შენიშვნა მწვრთნელთა მიმართ. შეჯიბრებაზე ნებისმიერი სტილით ცურვის სტარტზე 30 სპორტსმენი გამოვიდა, დელფინის სტილით კი — ხუთი, რომელთა შორის ორი გოგონა იყო. ეს ციფრი საგანგაშოა, მით უმეტეს, რომ დელფინი ყველაზე ჰამორჩენილი სახეობაა რესპუბლიკაში.

შეჯიბრებას მარტო ჩრდილოელი მხარეები როდი ჰქონდა. იყო ისიც, რითაც შეიძლება იამაყო. ასე მაგალითად, 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურკაში კარგი დრო აჩვენეს გოგონათა შორის — ი. ამნიაშვილმა, ჭაბუკთა შორის — კ. ანისიმოვმა. საქართველოს ჩემპიონმა ე. შავდიამ, რომელიც ჭაბუკებთან ერთ გაცურვაში მონაწილეობდა, მრავალი კონკურენტი ჩამოიტოვა უკან და აჩვენა კარგი დრო—1.12,2, 100 მეტრზე ბრასით ცურვაში გოგონათა შორის პირველი იყო ზ. ბაბენკო, ჭაბუკებში — ი. ხიბრევი. 100 მეტრზე ზურგზე ცურვაში გაიმარჯვა ზ. შილაკაძემ, გოგონებში — ა. კონდრინამ.

განხილულია კიდევ ჩატარდეს შეჯიბრებანი „ღია სტარტზე“ და იმედია იგი უფრო მასობრივი იქნება. ამასთან უფრო მეტ აქტივობას გამოიჩენენ მწვრთნელები და ხელს შეუწყობენ ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარებას, პერსპექტივიანი სპორტსმენების გამოვლინებას.

ლ. იოსაკიმიდი,
ხარკ დამსახურებული მწვრთნელი,

ბ. კამენსკი,
სპორტის ოსტატი.

ყვავილები

ძნელი სათქმელია, რა უფრო უყვარს სპორტის მოყვარულს: ზამთარი თუ ზაფხული? მაგრამ ადამიანის უშრეტი გამომგონებლობა და ფანტაზია წარმატებით ებრძვის ბუნების სიჯიუტეს. ან გამოიგონა საცგურაოები ხელოვნური ყინულით, სათხილამურო ბილიკები დაფარა სინთეტიკური „თოვლით“, ააგო გიგანტური ბანეკები, სადაც ფეხბურთელებსა და მძლეოსნებს ზამთრობით ნამდვილი ზაფხულის კლიმატი ხვდებათ, მაგრამ სპორტს ჭეშმარიტ მოყვარულებს მაინც ურჩევნიათ სპორტული შეჯიბრებები იხილონ იმ ატმოსფეროში, რომელსაც ისინი მიეკუთვნებიან და როცა ფეხბურთის ბურთი — გულშემატკივარის ეს უცვლელი მნათობი უხალისოდ ეშვება სპორტული ცისკიდურიდან, იგივე გულშემატკივარი უცებ სიხარულით აღმოაჩენს, რომ ფეხბურთის გარდა არის კიდევ ჰოკეი, თხილამურები, ციგურებით ფიგურული სრიალი.

სპორტის ერთ-ერთ სახეობას, რომელიც წლის სხვადასხვა დროს აერთიანებს, წარმოადგენს სწორედ ციგურებით ფიგურული სრიალი.

ამას წინათ ჩვენ შეკითხვით მივმართავთ ცივურებით ფიგურული სრიალის საკავშირო ფედერაციის მთავარ მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ს. ვასილიევს. აი რა მოგვითხრო მან:

— ციგურებით ფიგურული სრიალი ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა სახეობაა ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ამ მცირე ხნის მანძილზე მან მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა.

გავიხსენოთ 1956 წელი, როცა ჩვენმა ფიგურისტებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა ევროპის პირველობაზე ვენაში. მაშინ საუკეთესო ათეულში მოხვდნენ მხოლოდ ლ. გერასიმოვა და ი. კისელიოვი (წყვილთა სრიალი). დებიუტი არ იყო დიდად სახარბიელო, მაგრამ მან სერიოზული სამსახური გაუწია ფიგურისტთა შემდგომი დოსტატების საქმეს, გახშირდა ურთიერთობანი უცხოეთის ქვეყნების სპორტსმენებთან და უკვე 1958 წელს ევროპის პირველობაზე პრაღაში ნ. და ს. ჟუკოვებმა დაიკავეს მეორე ადგილი.

რა თქმა უნდა, ეს დიდი წარმატება იყო. ამ მიღწევით გამხნევებულნი წარმატებას ველოდით ცალკეულთა სრიალშიც, მაგრამ მათ კონკურენცია ვერ გაუწიეს ცნობილ უცხოელ სპორტსმენებს. მართალია ყინული გლუვია, მაგრამ ჩვენი ფიგურისტები ხშირად „ბორძიკობდნენ“ მასზე. ამის ძირითადი მიზეზი იყო სავალდებულო პროგრამის დაუშუშავებლობა, რომელიც მკაცრი გამომცდელია ამ სახეობაში.

საბჭოთა სპეციალისტებმა ღრმა ანალიზი გაუკეთეს მომავალ ოსტატთა მომზადების მეთოდიკას და გამოარკვიეს მთელი რიგი სერიოზული ხარვეზები წვრთნის სისტემაში. ძირითადი, უმთავრესი ნაკლოვანება გამოიხატებოდა იმაში, რომ ჩვენ არა გვქონდა საცგურაოები ხელოვნური ყინულით, რაც ხელს უშლიდა სპორტსმენთა სრულწლიურ წვრთნას. ახლა ჩვენს ქვეყანაში ასეთი საცგურაოები არის, თუმცა მათი რაოდენობა საკმარისი ჯერ არაა. მაინც ჩვენ საშუალება მოგვეცა სისტემატურ მეცადინეობაში ჩაგვება 6-7 წლის ბავშვები.

წელს ჩვენს ფიგურისტებს დიდი შესაძლებლობები აქვთ გამოავლინონ თავიანთი ხელოვნება და, იმედია, ეს სეზონი კიდევ ერთი საფეხური იქნება უმაღლესი ოსტატობის მწვერვალისაკენ. 16-18 ნოემბერს მოსკოვში ჩატარდა პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ფიგურისტთა საჩვენებელი გამოსვლები. 27 თებერვალს ქენევაში დაიწყება ევროპის მორიგი პირველობა, ხოლო 14-17 მარტს ციგურებით ფიგურული სრიალის საუკეთესო წარმომადგენლები შეიკრიბებიან ჩეხოსლოვაკიაში, სადაც გაიმართება მსოფლიოს ჩემპიონატი. რაც შეეხება საკავშირო პირველობას, იგი მოეწყობა რიგაში სსრ კავშირის „თეთრი ოლიმპიადის“ დღეებში. საკავშირო პირველობაში მონაწილეობას მიიღებს ფიგურისტთა სარეკორდო რაოდენობა და რიგაში თავის წარმომადგენლებს გამოგზავნის საქართველოც კი, სადაც ზამთარი ფაქტიურად არც არის.

ჩვენ საგანგებოდ ვემზადებით მომავალი შეჯიბრებებისათვ-ს. სსრ კავშირის ნაკრები გუნდი ძირითადად უკვე განსაზღვრულია. მასში მაგალითად, აუცილებლად შეავა სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონი — 15 წლის მოსკოველი მოსწავლე ტატიანა ნემცოვა. მისი განსაცვიფრებელი კომბინაციები, წარმტაცი სილამაზის ნახტომები, ურთულესი პირუეტები საყოველთაო მოწონებას ჰპოულობენ მაყურებლებში. სპორტსმენი გოგონა დიდი ხელოვნებით ფლობს ფიგურული სრიალის ყველა ნიუანსს და წელს კიდევ უფრო რთული ვარჯიშებით გამოდის.

შარშან დიდი ინტერესი გამოიწვია 20 წლის ლენინგრადელმა სტუდენტმა თამარ ბრატუსმა, რომელმაც რსფსრ-ს ხალხთა სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებაში ბევრისათვის მოულოდნელად მოუგო ტ. ნემცოვას და დაიკავა პირველი ადგილი. თ. ბრატუსმა ბრწყინვალედ შეასრულა ნებისმიერი პროგრამა, მაგრამ მას ჯერ კიდევ სრულყოფილად არა აქვს ათვისებული სავალდებულო პროგრამა, რომელიც ციგურებით ფიგურული სრიალის სკოლას წარმოადგენს. თუ მან ეს ხარვეზი გამოასწორა, დიდი პერსპექტივები ექნება.

მოსკოველი ჭაბუკები ვ. მეშკოვი, ა. ვედენინი და ს. ჩეტვერუხინი (ისინი 16 წლისანი არიან) აგრეთვე კარგი მომავლის მქონე ახალგაზრდა ფიგურისტებს წარმოადგენენ. მათგან ვ. მეშკოვმა შარშან ოქროს მედალი მოიპოვა საკავშირო პირველობაზე.

გასულ წელს თავი გამოიჩინეს ლენინგრადელმა სტუდენტებმა ლ. ბელორუსოვამ და ო. პროტოპოპოვმა, რომლებმაც შეძლეს საკავშირო პირველობაზე დაემარცხებინათ ცნობილი წყვილი, ცოლქმარი ნ. და ს. ჟუკოვები.

ნიჭიერ ახალგაზრდა ფიგურისტთა ჩამოთვლა კიდევ შეიძლებოდა. გ. სედოვა, ტ. შარანოვა, გ. პროსკურინი, ა. გორელიკი და მრავალი სხვა. ჩვენს ნაკრებში უმეტესობას ახლა ახალგაზრდობა წარმოადგენს და ეს ასეც უნდა იყოს. სპორტში მომავალი ახალგაზრდობას ეკუთვნის.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ფიგურისტები თავიანთ სიტყვას იტყვიან საერთაშორისო ასპარეზზე.

ი. იაშვილი,
„ნოვოსტის“ ხაგენტოს კორესპონდენტი.

ყინულზე

საბჭოთა ფეხბურთელები საზღვარგარეთ

ირანში ჩატარებული ამხანაგური საერთაშორისო მატჩების შემდეგ ერევნის „სპარტაკის“ ფეხბურთელები გაემგზავრნენ ერაყს. პირველი მატჩი ერევნელებს ჰქონდათ ბაღდადში, სადაც მათ დაამარცხეს ადგილობრივი „აგლი“ — 2:1. სპარტაკელთა მეორე მატჩი ერაყის არმიის გუნდთან აგრეთვე მათი გამარჯვებით დამთავრდა — 1:0.

რანგუნი. ბირმაში ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად ინდონეზიიდან ჩავიდა მოსკოვის „ტორპედო“. პირველი შეხვედრა ქალაქის ნაკრებთან ტორპედოელებმა მოიგეს ანგარიშით 4:2. მატჩი ბირმის ნაკრებთან დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით — 4:0.

ლ ე ლ ო

მე-3 გვ. № 189 (1825)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სპორტის შესანიშნავ წარმატებათა შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა. მართლაც, რა სასიხარულოა, როცა სმენ ან კითხულობ, თუ რა ტრიუმფით გამოსულან ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის წარმომადგენლები მსოფლიო, ევროპის პირველობებზე, ოლიმპიურ თამაშებში, სხვადასხვა საერთაშორისო შეხვედრებში. გული სიამაყის გრძნობით გევსება, როცა უძლიერესთა შორის საქართველოს სპორტსმენებსაც ხედავთ, რომლებსაც დიდი წვლილი შეაქვთ საბჭოთა სპორტის დიდ გამარჯვებებში.

გამომცემლობა „სოვეტსკი სპორტმა“ ახლახან გამოუშვა სპორტული პლაკატების სერია — „დიდება საბჭოთა ოლიმპიელებს“, რომელიც გემოვნებით შედგენილი და ოსტატურად გაფორმებულია. ამ სერიაში უმთავრესად აღბეჭდილია ჩვენი სპორტსმენების ბრწყინვალე გამოსვლა რომის ოლიმპიურ თამაშებში, სადაც მათ მოიპოვეს პირველი ადგილი. ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებმა დაისაკუთრეს ოქროს 43, ვერცხლის — 29 და ბრინჯაოს — 31 მედალი. სერია იხსნება სწორედ ამ პლაკატით, რომლის თავზე დაბეჭდილია ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვები მისი ცნობილი მისალმებიდან რომის ოლიმპიური თამაშების მონაწილეებისადმი.

პლაკატზე — „გაიმარჯვეს საბჭოთა მძლეოსნებმა“ აღბეჭდილია ოლიმპიური ჩემპიონების პ. ბოლოტნიკოვის, რ. შავლაყაძის, ნ. პონომარიოვას, თ. პრესის, ე. ოზოლინას, ვ. ციბულენკოს და სხვათა გამოსვლების ამსახველი სურათები. მომდევნო პლაკატი ეძღვნება ძალოსნებს, მოჭიდაველებს. აქ არის ი. ვლასოვის, ა. ქორიძის, ო. კარავაევის, ი. ბოგდანის, ა. კურინოვისა და სხვათა პორტრეტები, შეჯიბრებაში გამოსვლების ამსახველი მომენტები. მომდევნო პლაკატი მიძღვნილია საბჭოთა კალათბურთელი ვაუებისადმი, რომლებმაც ოლიმპიურ თამაშებში მოიპოვეს მეორე ადგილი და ვერცხლის მედლები. პრიზიორთა რიგებში სხვებთან ერთად ჩვენ ვხედავთ შესანიშნავ ქართველ სპორტსმენებს გ. მინაშვილს და ვ. უგრეხელიძეს. აქვეა ჩვენი ქვეყნის ფრენბურთელ ვაუთა და ქალთა გუნდები, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონები არიან. რამდენიმე პლაკატი მიძღვნილია სკვოველის ზამთრის ოლიმპიადისადმი, სადაც ჩვენმა სპორტსმენებმა მოიპოვეს ოქროს 7, ვერცხლის — 5 და ბრინჯაოს — 9 მედალი. ამ პლაკატზე აღბეჭდილია ოლიმპიური ჩემპიონები, ოლიმპიადის პრიზიორი სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდი, ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალი, სკვო-ველის ტრამპლინის ხედი.

მთელს მსოფლიოში სახელგანთქმულნი არიან საბჭოთა მოჭადრაკეები, რომლებიც სისტემატურად იკავებენ პირველ ადგილებს დიდ საჭადრაკო ტურნირებში. მსოფლიო ჩემპიონების ტიტულის მფლობელები არიან მ. ბოტვინიკი და ე. ბიკოვა. ჩვენ გვყავს უძლიერესი გროსმაისტერები ჭადრაკსა და შაშში. სწორედ ამ წარმატებებს ასახავს სერიის ერთ-ერთი პლაკატი.

ყოველი საერთაშორისო შეჯიბრება ხელს უწყობს მშვიდობის საქმეს. სხვადასხვა ქვეყნის, ეროვნების, ფერის, რწმენის სპორტსმენების დაახლოებას, დამეგობრებას ემსახურება მსოფლიო სპორტული მოძრაობა. მხატვრულად გაფორმებულ პლაკატზე, რომლის თავზე აღბეჭდილია ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვები მსოფლიოს ხალხთა მეგობრობის, ურთიერთგაგების, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის განმტკიცების შესახებ, აღბეჭდილია ფოტოსურათები, რომლებიც ასახავენ ჩვენი და სხვა ქვეყნების სპორტსმენთა მეგობრული ურთიერთობის, ძმობის, ერთმანეთისადმი კეთილი სურვილების გამომხატველ მომენტებს.

ფოტოგამოფენამ — „დიდება საბჭოთა ოლიმპიელებს“, რომელშიც შედის 16 პლაკატი, უნდა დაამშვენოს სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და დაწესებულებების ფიზკულტურული კოლექტივების ადგილსამყოფელი. იგი საქართველოს სპორტის ყოველ მოყვარულს საკუთრებაც უნდა გახდეს. ფოტოგამოფენა „დიდება საბჭოთა ოლიმპიელებს“ ღირს 1 მანეთი და 80 კაპ. მისი შეძენა შეიძლება „ფიზკულტპრომსნაბის“ ცენტრალური ბაზის სადაკვეთო ლიტერატურის სექტორის საშუალებით. ფოტოგამოფენის შეძენის მსურველებმა თავიანთი შეკვეთა უნდა გაგზავნონ შემდეგი მისამართით:

Москва, Измайловский проезд, дом 10, Сектор заказной литературы Центральной базы «Физкультпромснаб».

ДИСКУСИА ბრაზილიაში

ბრაზილიაში მიმდინარეობს დიდი დისკუსია ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების შემადგენლობის შესახებ, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს მსოფლიო ჩემპიონატში, მასში მონაწილეობენ არა მარტო მწვრთნელები და მიმომხილველები, არამედ გულშემატკივრებიც. გაზეთები ვერ აუდიან სხვადასხვა ვარიანტების გამოქვეყნებას, იმ შემადგენლობიდან, რომელმაც 1958 წელს შვეიცარიაში მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა, ახალი ნაკრების „ავტორები“ უყოყმანოდ ტოვებენ მხოლოდ ორ მოთამაშეს — პელესა და გარინჩას. ორივე ამჟამად საუცხოო ფორმაშია და წარმატებით თამაშობს საკლუბო გუნდებში, ცხარე კამათს იწვევს დიდი, რომელიც ახლა წლებში შევიდა და ვეღარ თამაშობს ძველებური ბრწყინვალებით. მის ადგილზე ასახელებენ ოთხ ახალგაზრდა მოთამაშეს — ჩინეზინიოს, გალვიოს, ჟერსონსა და ლორიკოს. ნაკრების ხელმძღვანელები მეტად ძნელი ამოცანის წინაშე დგანან: შეცვალონ დიდი, თუ იგი ახალგაზრდა მეტოქეებს ამჯობინონ. პრესაში გამოქვეყნდა ნაკრების მფარველის პ. მახადოს წერილი, სადაც ავტორი ილაშქრებს დიდის კანდიდატურის წინააღმდეგ. როგორც იგი წერს, ბრაზილიის ნაკრები უნდა გაახალგაზრდავდეს და მასში ადგილი არ უნდა ჰქონდეთ 30 წელზე უფრო ხნიერ მოთამაშეებს. მაგრამ ნაკრების მწვრთნელს ა. მორეირას არა აქვს ისეთი რადიკალური ზომების მიღების საშუალება, ვინაიდან გუნდში სერიოზული კონკურენციის გარეშე თამაშობენ ვეტერანი მცველები 36 წლის ნილტონ სანტოსი და 33 წლის ჯალმა სანტოსი. მათი შემცვლელები ბევრი ეძებეს სხვადასხვა გუნდებში, მაგრამ ორივე სანტოსი მაინც ჯობნიდა ახალგაზრდებს. დიდ კამათს იწვევს ნახევარმცველების საკითხი. ცენტრალური მცველის პოსტზე ასახელებენ ბელინისა და კალვეტს, ხოლო ნახევარმცველების პოსტებზე მოთამაშეთა მთელ ჯგუფს, სადაც არის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ზიტოც. გულშემატკივრები ამჯობინებენ ორივე ძველ მეკარეს — ჟილმარსა და კასტილიოს, რომლებიც ამჟამად საუცხოო ფორმაში არიან.

ბევრი რამ უნდა გამოარკვიოს რიო-დე-ჟანეიროსა და სან-პაულუს ჩემპიონატებმა, სადაც ბრძოლა თანდათან ცხარდება. რიო-დე-ჟანეიროს ჩემპიონატი წელს შეცვლილი წესებით მიმდინარეობს — პირველი ლიგა უნდა დატოვოს 4 გუნდმა. ეს საფრთხე ჯერჯერობით ემუქრებათ „მადურეირას“, „კანტო დო როის“, „ატლეტიკო პორტუგეზასა“ და „ბონსუკესის“. საუცხოოდ თამაშობს „ბოტაფოგო“, შემდეგ ადგილებზე არიან „ფლამენგო“, „ვასკო და გამა“ და „ფლუმინენზე“.

16 გუნდი იბრძვის სან-პაულუს შტატის ჩემპიონატში. აქ თავიდანვე დაწინაურდა მრავალგზის ჩემპიონი „სანტოსი“, რომელიც დაუმარცხებლად იბრძვის და მხოლოდ ორი შეხვედრა დაამთავრა ფრედ. „სანტოსი“ უკვე 5 ქულით უსწრებს თავის მთავარ მეტოქეს „პალმეირას“. აქ თამაშობს სახელოვანი „სნაიპერი“ ვავა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია.

შტატების ჩემპიონატების დამთავრების შემდეგ უნდა გაიმართოს ე. წ. „მაქსიმალური ტურნირი“ უძლიერესი გუნდების მონაწილეობით. მან უნდა გამოავლინოს სამხრეთ ამერიკის ჩემპიონების თასის გათამაშების მორიგი მონაწილე ბრაზილიიდან. ჯერჯერობით ბრაზილიელები ამ თასის გათამაშებაში წარუმატებლად მონაწილეობდნენ და ორჯერ დაუთმეს პირველობა ურუგვაის ჩემპიონს — „პენიაროლს“.

სამართლიანი გადაწყვეტილება

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ისე როგორც არსად, გამეფებულია რასობრივი დისკრიმინაცია. ამიტომ იყო, რომ ამ დღეებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 55 ხმით 26-ს წინააღმდეგ მიიღო რეზოლუცია, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს მოუწოდებს გაწყვიტონ დიპლომატიური კავშირი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან.

რასიზმი დიდი ძალით ვლინდება აგრეთვე სამხრეთ აფრიკის სპორტულ ორგანიზაციებშიც, მაგრამ რასისტებმა სპორტის სფეროშიც მიიღეს საგრძნობი დარტყმა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციისაგან. სამხრეთ აფრიკის ფეხბურთის ასოციაცია, რომელშიც მხოლოდ თეთრკანიანი სპორტსმენები შედიან, გადევნილ იქნა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციიდან.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ამას წინათ ყველა ეროვნულ ასოციაციას გაუგზავნა ცირკულარული წერილი, სადაც ნათქვამია, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტი იძულებულია გამოსცეს დეკრეტი სამხრეთ აფრიკის ფეხბურთის ასოციაციის გარიცხვის შესახებ და ეროვნულ ასოციაციებს, მათს კლუბებს და მოთამაშეებს ეკრძალებათ გარიცხულ ასოციაციასთან რაიმე კავშირის დამყარება.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სხვა საერთაშორისო სპორტული ფედერაციებიც აიღებენ მაგალითს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციისაგან.

რედაქტორი ი. უგულავა

24 ნოემბერს

ცენტრალურ სამადრაკო კლუბში დაიწყება თბილისის რედაქციების გუნდური პირველობა ჭადრაკში. გამარჯვებულ გუნდს გადაეცემა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ჯილდო.

დასაწყისი 19 საათზე.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-36-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. УЭ 01211